

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში

საჩივრების განხილვის კომისიის სხდომის

ოქმი N 01

ქ.ბათუმი

13 იანვარი 2016

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ხათუნა ბაგრატიონი- კომისიის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი;
2. მალხაზ ჭკადუა-კომისიის წევრი (არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“) ;
3. ნათია აფხაზავა -კომისიის წევრი (არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“).

აგრეთვე ესწრებოდნენ:

ნატა იმედაიშვილი -სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ ბოლქვაძე- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

შენიშვნა: ბეჟან გობაძე- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრი სხდომას „სკაიპის“ საშუალებით, ონლაინ რეჟიმში ჩაერთო.

დღის წესრიგი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრის ბეჟან გობაძის 2015 წლის 14 დეკემბრის # 02-19/1237 საჩივრის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით ისაუბრა მალხაზ ჭკადუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საჩივარი ეხება 2015 წლის 18 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის ეთერით საინფორმაციო გამოშვებაში (21 საათზე) ჟურნალისტ გოგიტა გოგიტიძის მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, კერძოდ მიკერძოებული სიუჟეტის შექმნას.

კომისიის აზრით, ჟურნალისტ გ.გოგიტიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის სამ ეპიზოდს, კერძოდ საჩივრის პირველ, მეორე და მესამე საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენ ნაწილში საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკუთარი აზრი გამოთქვეს კომისიის სხვა წევრებმა, რომლებიც დაეთანხმნენ მ.ჭკადუას მოსაზრებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრის ბეჟან გობაძის 2015 წლის 14 დეკემბრის # 02-19/1237 საჩივარი, კერძოდ:


დაკმაყოფილდეს საჩივარი პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში (თბილისის კორ-პუნქტთან, ხულოს კორ-პუნქტთან და გადაცემა „ეკონომისტთან“ დაკავშირებით), ხოლო დანარჩენი სამი ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას. შესაბამისად, ნაწილობრივ დადგენილ იქნეს (საჩივრის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში) ჟურნალისტ გ.გოგიტიძის მიერ 2015 წლის 18 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტში „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტი (მიკერძოებული სიუჟეტის შექმანასთან დაკავშირებით).

2. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს ჩაბარდეთ გამოცხადებიდან (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ კომისიამ მუშაობა დაამთავრა.


კომისიის თავმჯდომარე:

ხათუნა ბაგრატიონი



კომისიის წევრები:

მალხაზ ჭკადუა



ნათია აფხაზავა

6. აგვისტო